ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ61.6122206001**
თარიღი:**25/07/2022**

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 26–ე მუხლის პირველი პუნქტის , 35–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–17 მუხლისმე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. 2022 წლის 27 ივლისს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ირაკლი ჟოჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4.„ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3 .ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერ ბახტაძე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი